

პრესრელიზი

მარჯანიშვილის თეატრი- თქვენთან პარტნიორობით თეატრისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობის წელი იყო ..



საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა , როგორც ერთგულმა პარტნიორმა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრისგან სიმბოლურად მადლობის წერილი მიიღო. მარჯანიშვილის დასმა 89-ე სეზონი წარმატებით დაასრულა , თეატრის დირექტორის ეკა მაზმიშვილის განცხადებით „წლის განმავლობაში განხორციელებული საინტერესო შემოქმედებითი პროექტების წარმატებით რეალიზებაში განსაკუთრებული წვლილი აქვს პარტნიორ და მეგობარ კომპანიას . მისივე თქმით , შემოქმედებითი მიმართულებით ბიზნესის აქტიური მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თეატრს მეტი

შემოქმედებითი ექსპერიმენტებისა და სიახლეების განხორციელების შესაძლებლობა უჩნდება.

„2017 წელი თქვენთან ერთად თეატრისთვის იყო

მნიშვნელოვანი -გაგვიჩნდა ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები.მარჯანიშვილის თეატრის სახელით მადლობას გიხდით და პარტნიორებისთვის“-აღნიშნულია სიმბოლურ წერილში.

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

